www.mediators.ge

2024 წელი

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საინფორმაციო ბიულეტენი 2024წ

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

სტატისტიკა



საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

ტრენინგი მედიატორებისთვის - “Procedural Law for mediation”



მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი მედიატორებისთვის - “Procedural Law for mediation”, რომელიც მხარდაჭერილია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მონაწილეებს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის “ აღმასრულებელმა დირექტორმა - თამარ იმნაიშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, ირაკლი გელოვანმა. ტრენინგს უძღვებოდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრი ლაშა კალანდაძე. ტრენინგის მიმდინარეობისას მონაწილეებმა განიხილეს პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხები, სასამართლო და არასასამართლო მედიაციას, სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ხასიათის მედიაცია, ასევე სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხები.

შეხვედრა მიმდინარეობდა დისკუსიისა და კითხვა- პასუხის რეჟიმში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მედიატორთა პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის ინიციატივით საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ” საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტს მიმართა ინიციატივით კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება როგორც საქართველოს კანონს „მედიაციის შესახებ“ ასევე მედიაციასთან კავშირში მყოფ სხვა საკანონმდებლო აქტებს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის ირაკლი ყანდაშვილის განცხადებით,კანონის მიღების შემდგომ მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის სწორად განვითარებისთვის, დამატებით აუცილებელი გახდა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების გატარება. აღნიშნული ინიციატივის წარდგენა განაპირობა დღეს არსებულმა პრაქტიკამ.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და მედიატორთა საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს და ეხება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია იმედოვნებს, რომ დროულად მოხდება წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვა საქართველოს პარლამენტის მიერ და ასევე მზად არის ითანამშრომლოს პარლამენტთან საკანონმდებლო წინადადების მომზადების პროცესში, რათა პროექტმა მიიღოს კანონის სახე საგაზაფხულო სესიის ფარგლებში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალ წევრებთან მორიგი შეხვედრა გამართა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალ წევრებთან მორიგი შეხვედრა გამართა. მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, ირაკლი გელოვანი მიესალმნენ. ირაკლი ყანდაშვილმა მედიაციის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ადვოკატებს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეთ მედიაციის პროცესთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ადვოკატების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესება იყო, დაისვა ბევრი საინტერესო შეკითხვა , ასევე ადვოკატთა ასოციაციის ახალმა წევრებმა მედიაციის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით, სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მსგავს შეხვედრებს ხშირად გამართავს, რადგან ადვოკატების ინფორმირებულობა მედიაციის პროცესთან დაკავშირებით ძალზედ მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

სამუშაო შეხვედრა “მედიაციის შესახებ” საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წარმომადგენლებთან.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ დონორი ორგანიზაციის USAID - ის მხარდაჭერით „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტის ფარგლებში გამართა სამუშაო შეხვედრა “მედიაციის შესახებ” საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წარმომადგენლებთან. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და მედიატორთა საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს და ეხება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი. შეხვედრა გახსნეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ ჰერბ ბოუმენმა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით მათიკაშვილმა.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები და რეკომენდაციები კანონპროექტის პაკეტის დახვეწასთან დაკავშირებით, რომელიც დამატებით წარედგინება საქართველოს პარლამენტს

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, აგრძელებს რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, აგრძელებს რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს ამ ინიციატივის მიზანია საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება. შეხვედრა გაიმართა საგარეჯოში, რომელსაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, თამარ იმნაიშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, ირაკლი გელოვანი უძღვებოდნენ.

მათ სიტყვით მიმართეს ადგილობრივ მოსახლეობას, ისაუბრეს მედიაციის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტიური კითხვა- პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გეგმავს მთელი საქართველოს მასშტაბით მსგავსი შეხვედრების გამართვას.

სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებთან - „ არსებული პრაქტიკა და გამოწვევები სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს“

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ” USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით, თელავში, „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ მოსამართლეებთან გამართა სამუშაო შეხვედრა: „ არსებული პრაქტიკა და გამოწვევები სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს“.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, ირაკლი გელოვანმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა - შალვა ჭკადუამ. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო, გიორგი მთიულიშვილმა - გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე; მარინე ცერცვაძემ - თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ და ალექსანდრე ლომიძემ - საგარეჯოს და დედოფლის წყაროს მაგისტრმა მოსამართლემ.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხებოდა სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს არსებულ პრაქტიკასა და გამოწვევებს.

შეხვედრა დასრულდა შემაჯამებელი დისკუსიით და დაიგეგმა მედიაციის კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ისეთი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, აგრძელებს რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს

ამ ინიციატივის მიზანია საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

შეხვედრა გაიმართა ქუთაისში, რომელსაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, თამარ იმნაიშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, ირაკლი გელოვანი უძღვებოდნენ.

მათ სიტყვით მიმართეს ადგილობრივ მოსახლეობას, ისაუბრეს მედიაციის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტიური კითხვა- პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გეგმავს მთელი საქართველოს მასშტაბით მსგავსი შეხვედრების გამართვას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ქუთაისში მოსამართლეებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა : „ არსებული პრაქტიკა და გამოწვევები სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს“

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ” USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით, ქუთაისში მოსამართლეებთან გამართა სამუშაო შეხვედრა: „ არსებული პრაქტიკა და გამოწვევები სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს“. ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - თამარ იმნაიშვილმა , USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, ირაკლი გელოვანმა. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო: ციცინო კიკვაძემ - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ; ციცინო მოსიძემ - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ; სოფიო ჩაჩავამ -საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა; ელენე ორჯონიკიძემ - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა; ტარიელ სიხარულიძემ -საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა . ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ქუთაისის რეესტრის მედიატორები და მოსამართლის თანაშემწეები.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხებოდა სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს არსებულ პრაქტიკასა და გამოწვევებს. შეხვედრა დასრულდა შემაჯამებელი დისკუსიით და დაიგეგმა მედიაციის კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ისეთი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქართულ- ამერიკულ უნივერსიტეტთან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და ქართულ- ამერიკულ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ხელმომწერნი არიან ,,საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი - ზაზა რუხაძე.

მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას.

შეხვედრა ახალციხეში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“

გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გამართა შეხვედრა ახალციხეში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიესალმნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, თსუ-ს ასოცირებული პროფ. ნათია ჩიტაშვილი და გაეროს განვითარების პროგრამის "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ოფიცერი - ივანე ჩიტაშვილი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მედიაციის არსი, მედიაციის ინსტიტუტის თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობის და უპირატესობების საკითხები, აგრეთვე მედიაციის ეფექტურობა დავათა სხვადასხვა კატეგორიებში და საოჯახო კატეგორიის სამედიაციო დავები. შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტიური კითხვა- პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ იმნაიშვილმა ასოციაციის ოფისში უმასპინძლეს დელეგაციას ყირგიზეთიდან

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ იმნაიშვილმა ასოციაციის ოფისში უმასპინძლეს დელეგაციას ყირგიზეთიდან.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ყირგიზეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილეები, შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ყირგიზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა დელეგატებს გააცნო საქართველოში მედიაციის როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის გამოყენების, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

საქართველოში ყირგიზეთის დელეგაციის სამუშაო ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქართული მედიაციის მოდელის და საერთაშორისო მორიგებების ფარგლებში მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციის რატიფიკაციისა და შემდგომი იმპლემენტაციის საკითხების გაცნობა. ასოციაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომლითაც ხელი ეწყობა მედიაციის დარგის განვითარებას საქართველოში.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გამართა ავსტრიელ მედიატორებთან.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გამართა ავსტრიელ მედიატორებთან.



დისტანციური ფორმატის შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ავსტრიელ მედიატორებს გააცნო საქართველოში მედიაციის როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის გამოყენების, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რომელიც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში. შეხვედრის დასასრულს მხარეთა შორის დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სამომავლო ნაბიჯები.

სამუშაო შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრებთან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ , გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის "ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრებთან გამართა სამუშაო შეხვედრა.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომიბის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ოფიცერმა - ივანე ჩიტაშვილმა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა კომიტეტის წევრებთან შეხვედრაზე ისაუბრა მედიაციის მნიშვნელობაზე, მის უპირატესობებზე და ადვოკატის როლზე მედიაციის პროცესში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა კომიტეტის წევრებს შორის გაიმართა დისკუსია მედიაციაში არსებული გამოწვევების შესახებ, წარმოადგინეს ინიციატივები და იმსჯელეს მათი განხორციელების გზებზე.

შეხვედრა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ბიზნეს სკოლის სტუდენტებთან გამართა

გრძელდება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაწყებული კამპანია, რომლის მიზანია მედიაციის არსი და რაობა გააცნოს ბიზნეს სკოლების სტუდენტებს, მომავალი ბიზნესის წარმომადგენლებს საქართველოში. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში შეხვედრა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ბიზნეს სკოლის სტუდენტებთან გამართა.

მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილი და გაეროს განვითარების პროგრამის "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომიბის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ოფიცერი - ივანე ჩიტაშვილი მიესალმნენ.

ირაკლი ყანდაშვილმა მედიაციის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ცოდნა დავის ალტერნატიული მექანიზმის მედიაციის შესახებ. შეხვედრაზე სტუდენტების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესება იყო, დაისვა ბევრი საინტერესო შეკითხვა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გააგრძელებს მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას და მსგავს შეხვედრებს მომავალში ხშირად გამართავს ბიზნესის სკოლების სტუდენტებისთვის.

ღონისძიება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში.

მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში შემუშავებული მედიაციის ეთიკის სავალდებულო ტრენინგ პროგრამა

გრძელდება მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში შემუშავებული მედიაციის ეთიკის სავალდებულო ტრენინგ პროგრამა მედიატორთათვის, რომელიც მხარდაჭერილია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ. ტრენინგს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ამავე ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, თსუ-ს ასოცირებული პროფ. ნათია ჩიტაშვილი უძღვებოდნენ.

მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ნათია ჩიტაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, ირაკლი გელოვანი მიესალმნენ. ტრენინგ კურსის ფარგლებში მედიატორთა პროფესიული ქცევის სტანდარტების ჭრილში განზოგადებულ იქნა ქართული სამედიაციო პრაქტიკა, განხილულ იქნა ეთიკის მნიშვნელობა მედიაციის პროფესიად ფორმირებაში, წარმოჩინდა მედიატორის ეთიკის სტანდარტების პროცესუალური შინაარსი და გაზიარდა მედიატორთა მიერ ეთიკური დილემების მართვის სტრატეგიები და რეკომენდაციები.

მონაწილეებმა ტრენინგის განმავლობაში ჯგუფური სამუშაოებიც შეასრულეს, განიხილეს კონკრეტული კაზუსები, სადაც წამოჭრილი იყო პრობლემატიკა და პრინციპთა დილემა, როგორიც არის მაგალითად: კეთილსინდისიერი მოლაპარაკების და ინფორმირებული შეთანხმების/თვითგამორკვევის ხელშეწყობა, შეთანხმების ნებაყოფლობითობის ხელშეწყობის ფარგლები სავალდებულო სასამართლო მედიაციაში, მედიატორის მიერ მხარეთა ინფორმირების ვალდებულების საკანონმდებლო-ეთიკური სტანდარტი, მედიატორის დამოუკიდებლობის/ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება, კონფიდენციალობის პრინციპის მოქმედება სავალდებულო სასამართლო მედიაციის პროცესის შეწყვეტისას, ბავშვების საუკეთესო ინტერესების ხელშეწყობა, თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის ვალდებულება და სხვა.

მედიაციის ეთიკის განგრძობადი პროფესიული განათლების კურსი სავალდებულოა ყველა მოქმედი მედიატორისთვის, რაც ემსახურება მედიაციის ეთიკური მდგრადობისა და სანდოობის გაძლიერებას, პროფესიული ქცევის სტანდარტების ერთგვაროვან დამკვიდრებას და კეთილსინდისიერ რეალიზებას სასამართლო და კერძო მედიაციაში

სამუშაო შეხვედრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით,ასოციაციის წევრებისთვის სამუშაო შეხვედრა გამართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან.

მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილი და პეროსნალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ოთარ ჩახუნაშვილი მიესალმნენ.

პეროსნალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ლიკა კობალაძემ ისაუბრა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მონაცემთა დამუშავების განახლებულ საფუძვლებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, პროფაილინგს, პორტირებას, აუდიო და ვიდეომონიტორინგს მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ჯარიმების ცვლილებას და სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, ინციდენტი და სამსახურისთვის მისი შეტყობინების ვალდებულებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული ცვლილებებთან დაკავშირებით.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესება იყო, შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია და დაისვა ბევრი საინტერესო შეკითხვა.

შეხვედრა ბოლნისში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“

გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გამართა შეხვედრა ბოლნისში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიესალმნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, თსუ-ს ასოცირებული პროფ. ნათია ჩიტაშვილი და გაეროს განვითარების პროგრამის, "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი გულისა კახნიაშვილი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მედიაციის არსი, მედიაციის ინსტიტუტის თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობის და უპირატესობების საკითხები, აგრეთვე მედიაციის ეფექტურობა დავათა სხვადასხვა კატეგორიებში და საოჯახო კატეგორიის სამედიაციო დავები. შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტიური კითხვა- პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა

შეხვედრა ქალებთან, ქალთა გაძლიერების მიზნით "სცადე მედიაცია"

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ორგანიზებით და პარტნიორი დონორი ორგანიზაციის გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქალებთან, ქალთა გაძლიერების მიზნით "სცადე მედიაცია".

შეხვედრას უძღვებოდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მოქმედი მედიატორი - სოფიო დუღაშვილი.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა განხილულ იქნა: მედიაციის არსი, მედიაციის ინსტიტუტის თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობა და უპირატესობები, მედიაციის პროცესის მიმოხილვა, მედიაციის ეფექტურობა დავათა სხვადასხვა კატეგორიებში, მედიაცია პრაქტიკაში.

მონაწილეების მხრიდან საკმაოდ დიდი დაინტერესება იყო, დაისვა საინტერესო შეკითხვები.

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

შეხვედრა უკრაინულ სახლში

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ "სცადე მედიაციის" ფარგლებში უკრაინულ სახლში გამართა შეხვედრა .

უკრაინელ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის კანონის უზენაესობის პროექტის მენეჯერმა - ლევან ასათიანმა და უკრაინული სახლის ხელმძღვანელმა - ვალენტინა მარჯანიშვილმა.

ასოციაციის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მედიაციის არსი, მისი უპირატესობები, ეფექტურობა დავათა სხვადასხვა კატეგორიებში, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საოჯახო და ბიზნეს კატეგორიის სამედიაციო დავებზე.

ღონისძიება ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მონაწილეების მხრიდან დაისვა არა ერთი საინტერესო კითხვა.

შეხვედრის დასასრულს ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა უკრაინელ საზოგადოებას მხარდაჭერა გამოუცხადა და უსურვა მათ მალე მშვიდობიანი დაბრუნება სამშობლოში.

ტრენინგი მედიატორებისთვის “Procedural Law for mediation”

მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი მედიატორებისთვის - “Procedural Law for mediation” , რომელიც მხარდაჭერილია, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მონაწილეებს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის “თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენელმა ეკატერინე ლორთქიფანიძემ.

ტრენინგს უძღვებოდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრი ლაშა კალანდაძე.

ტრენინგის მიმდინარეობისას განიხილეს პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხები, სასამართლო და არასასამართლო მედიაცია, სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ხასიათის მედიაცია, ასევე სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხები.

შეხვედრა მიმდინარეობდა დისკუსიისა და კითხვა - პასუხის რეჟიმში.



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა, ქართულ დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ერევანში რიგით მე-5 სომხურ-ქართულ სამართლებრივ ფორუმში

სომხურ-ქართული სამართლებრივი თანამშრომლობის ფორუმი 2015 წლიდან იმართება და ხელს უწყობს საქართველოსა და სომხეთის იუსტიციის სამინისტროებს შორის პარტნიორული, ეფექტური და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ფორუმში მონაწილე დამსწრე საზოგადოებას გააცნო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ქართული მოდელი, ისაუბრა საქართველოში მედიაციის როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის გამოყენების, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგებზე.

ფორუმში მონაწილეობას იღებენ მაღალი რანგის დელეგაციები სომხეთისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრების ხელმძღვანელობით.

ღონისძიებაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეებსა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, ადვოკატთა ასოციაციის და იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი პირები.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორუმები აძლიერებს ინსტიტუციათა ფუნქციონირებას ეროვნულ დონეზე.

სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოში ახლად გახსნილი სასამართლოს მედიაციის ცენტრის წარმომადგენლებთან

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მედიაციის განვითარების პროექტის“ ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა აღმოსავლეთ საქართველოში ახლად გახსნილი სასამართლოს მედიაციის ცენტრის წარმომადგენლებთან. ღონისძიება განხორციელდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით. მონაწილეებს მიესალმა და შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - თამარ იმნაიშვილი.შეხვედრას ესწრებოდნენ: მცხეთის რაიონული სასამართლოს, ახალციხის რაიონული სასამართლოს,თელავის რაიონული სასამართლოს, გურჯაანის რაიონული სასამართლოს, ბოლნისის რაიონული სასამართლოს, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მენეჯერები და სასამართლო აპარატის თანამშრომლები.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - თამარ იმნაიშვილმა შეხვედრაზე ისაუბრა სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს არსებულ პრაქტიკასა და გამოწვევებზე. აღნიშნულ საკითხს დიდი დაინტერესება მოყვა შეხვედრის მონაწილეების მხრიდან და დაისვა ბევრი საინტერესო კითხვა. მან ღონისძიებაში მონაწილე სასამართლო უწყების წარმომადგენლებთან ერთად ასევე განიხილა სამედიაციო საქმეთა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების წესის და სტანდარტის არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები. შეხვედრის ბოლოს დაისვა ბევრი საინტერესო კითხვა და შეჯამდა ღონისძიების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

შეხვედრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სტუდენტებთან

გრძელდება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაწყებული კამპანია, რომლის მიზანია მედიაციის არსი და რაობა გააცნოს ბიზნეს სკოლების სტუდენტებს, მომავალი ბიზნესის წარმომადგენლებს საქართველოში.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში შეხვედრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სტუდენტებთან გამართა.

მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ოფიცერი - ივანე ჩიტაშვილი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტი რ. მაიკლ ქაუგილი მიესალმნენ.

ირაკლი ყანდაშვილმა მედიაციის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ცოდნა დავის ალტერნატიული მექანიზმის მედიაციის შესახებ.

შეხვედრაზე სტუდენტების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესება იყო, დაისვა ბევრი საინტერესო შეკითხვა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გააგრძელებს მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერებას და მსგავს შეხვედრებს მომავალში ხშირად გამართავს ბიზნესის სკოლების სტუდენტებისთვის.

ღონისძიება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში.

საერთაშორისო ვებინარი- „მედიაცია საზღვართშორისი ბიზნეს დავები”

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილმა, როგორც ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის ხელმძღვანელმა მოდერირება გაუწია საერთაშორისო ვებინარს- „მედიაცია საზღვართშორისი ბიზნეს დავები”

ვებინარი ორგანიზებული იყო ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და ჰონგ კონგის საერთაშორისო მედიაციის ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და ჰონგ კონგის ცენტრის წევრი ადვოკატების და მედიატორებისთვის პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს შორის გაიმართა თემატური დისკუსია, დაისვა საინტერესო და მნიშვნელოვანი კითხვები და მოხდა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მედიაციის პრაქტიკის გაზიარება.



შეხვედრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთან და ბათუმის მედიატორებთან

მედიაციის ბიზნეს კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთან და ბათუმის მედიატორებთან გამართა მრგვალი მაგიდის ფორმატში სამუშაო შეხვედრა.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, ირაკლი გელოვანმა.

შეხვედრაზე მოსამართლეებმა და მედიატორებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, ისაუბრეს მიმდინარე გამოწვევებზე და ამ გამოწვევების გადაჭრის გზებზე.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საინფორმაციო შეხვედრა მედიაციის შესახებ ქ.ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებთან

მედიაციის ბიზნეს კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის” მხარდაჭერით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთან და ბათუმის მედიატორებთან გამართა მრგვალი მაგიდის ფორმატში სამუშაო შეხვედრა.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, ირაკლი გელოვანმა.

შეხვედრაზე მოსამართლეებმა და მედიატორებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, ისაუბრეს მიმდინარე გამოწვევებზე და ამ გამოწვევების გადაჭრის გზებზე.

მედიაციის განვითარებისადმი მიძღვნილი მესამე ყოველწლიური ფორუმი

მედიაციის ბიზნეს კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ" USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის „მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის" მხარდაჭერით საქართველოს ბიზნესომბუდსმენთან ერთად მედიაციის განვითარებისადმი მიძღვნილი მესამე ყოველწლიური ფორუმი გამართა. ფორუმი „მედიაცია ბიზნესისთვის" გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ - აკაკი საღირაშვილმა, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მოადგილემ - ნინო კვენეტაძემ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა - ელგუჯა მელაძემ და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გენერალურმა დირექტორმა - დავით ებრალიძემ.

ფორუმი მიმდინარეობდა პანელური დისკუსიის ფორმატში, სადაც მიწვეულმა სტუმრებმა განიხილეს კომერციული მედიაციის როლი ბიზნეს-ეფექტურობის მიღწევაში და ბიზნეს დავების გამოწვევები სასამართლოში. ფორუმზე უცხოელმა ექსპერტმა, სინგაპურის დავების გადაწყვეტის საერთაშორისო აკადემიის დირექტორმა - დოქტ. ნადია ალექსანდერმა, გაუზიარა ფორუმის მონაწილეებს სინგაპურში არსებული პრაქტიკა და გამოცდილება. ღონისძიებაში მონაწილე სტუმრებმა დისკუსიის ფორმატში განიხილეს კომერციული მედიაციის როლი ბიზნეს-ეფექტურობის მიღწევაში და ბიზნეს დავების გამოწვევები სასამართლოში.

ფორუმი „მედიაცია ბიზნესისთვის" მიზნად ისახავს ერთის მხრივ, დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის პოპულარიზაციას და მეორე მხრივ, სტაბილური პლატფორმის შექმნას, რაც საშუალებას მისცემს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მეტი შეიტყონ მედიაციის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ეფექტიანად, მოკლე ვადაში და ნაკლები დანახარჯით მათ წინაშე არსებული დავები თავად მოაგვარონ მედიაციის გამოყენებით

შეხვედრა ახალქალაქში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“

გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მხარდაჭერით, პროექტის „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“ ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გამართა შეხვედრა ახალქალაქში, ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებთან, „სცადე მედიაცია“. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიესალმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, თსუ-ს ასოცირებული პროფ. ნათია ჩიტაშვილი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მედიაციის არსი, მედიაციის ინსტიტუტის თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობის და უპირატესობების საკითხები, აგრეთვე მედიაციის ეფექტურობა დავათა სხვადასხვა კატეგორიებში და საოჯახო კატეგორიის სამედიაციო დავები. შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტიური კითხვა- პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა

მედიაციის ინსტიტუციურ გაძლიერებასთან დაკავშირებული პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება / მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარის პრეზენტაცია

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, გაეროს განვითარების პროგრამის, "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" მხარდაჭერით მედიაციის ინსტიტუციურ გაძლიერებასთან დაკავშირებული პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა: საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში - დაგლას უებიმ; საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს პირველმა მდივანმა, იურიდიული და საკონსულო განყოფილების უფროსმა - მიხაილ გრიმიმ; და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა - მამუკა თავხელიძემ.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა ღონისძიებაზე შეაჯამა 9 თვის განმავლობაში პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. მან ასევე აღნიშნა უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციურ გაძლიერებაში.

ირაკლი ყანდაშვილმა მოდერირება გაუწია პანელურ ნაწილს სადაც მონაწილეებმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - თამარ იმნაიშვილმა; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა - თეა ჭეიშვილმა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - სოფიო დუღაშვილმა, მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრეს.

ასოციაციის თავმჯდომარემ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარის სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მედიაციის მეტად აქტუალიზაციას და მისი სიღრმისეულ აღქმას. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი არის პირველი სახელმძღვანელო მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებით ნაწილში და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას მედიაციით დაინტერესებულ საზოგადოებაში.

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, გაეროს განვითარების პროგრამის "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" მედიაციის ინსტიტუციურ გაძლიერებასთან დაკავშირებული პროექტის ფარგლებში შექმნა ისტორიული მნიშვნელობის სახელმძღვანელო მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის პირველი განმარტებითი კომენტარი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.

სსიპ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარის პროფესორი ირაკლი ყანდაშვილის ავტორობით შექმნილი „მედიაციის" სახელმძღვანელო აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის პროფესორის, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილის ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელო „მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება", რომელიც 2022 წელს გამოიცა და ფართოდ გამოიყენება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, როგორც სასწავლო სახელმძღვანელო აზერბაიჯანის მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ინიციატივით და აზერბაიჯანის სახელმწიფო მხარდაჭერის სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით ითარგმნა და გამოიცა აზერბაიჯანულ ენაზე.

სახელმღვანელოს ოფიციალური პრეზენტაცია შედგა აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროს აკადემიაში, ისევე როგორც გათვალისწინებულია მისი ოფიციალური პრეზენტაცია სხვადასხვა ინსტიტუციაში, მათ შორის სახელმძღვანელოს თარგმნა აზერბაიჯანული მხარის მხრიდან მიზნად ისახავს მის საუნივერსიტეტო სწავლებაში ინტეგრირებას, ისევე როგორც მედიატორთა მომზადების მიზნებისთვის ფართოდ გამოყენებას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ადვოკატი და მედიატორი ირაკლი ყანდაშვილი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) მმართველი საბჭოს წევრად მეორე ვადით აირჩიეს.

ირაკლი ყანდაშვილი ევროპელ კოლეგებს, მეორედ გამოცხადებული ნდობისთვის მადლობას უხდის, მისი განცხადებით საერთაშორისო კავშირების განვითარება , ადვოკატთა პროფესიის გაძლიერებას, განვითარებას და ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყობს ხელს. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრობა, საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარებასა და ჩვენს მიმართ გამოხატულ კიდევ ერთ მკაფიო მხარდაჭერას წარმოადგენს, რაც ძალზედ სასიხარულოა. “აღსანიშნავია პროფესია ადვოკატის როლი მედიაციის დანერგვა განვითარებაში, ზოგადად და კონკრეტულად საქართველოში, რასაც დამატებით შეუწყობს ხელს აღნიშნული სიახლე”- განაცხადა ყანდაშვილმა.



ევროპის ადვოკატთა ასოციაცია (AEA-EAL) 1986 წელს დაფუძნდა ბელგიაში და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებისა და ინდივიდუალური ადვოკატების პროფესიულ განვითარებას.

გაცნობითი სამუშაო შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან.

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - ლევან ვეფხვაძემ და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ - აკაკი საღირაშვილმა.

სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და პრეზენტირება გაიმართა ისეთი მნიიშვნელოვანი საკითხების, როგორიცაა - მედიაციის არსი, რაობა და გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესისთვის, კომერციული მედიაციის როლი ბიზნეს-ეფექტურობის მიღწევაში.

მსგავსი შეხვედრები ეტაპობრივად ჩატარდება და ბიზნესის სხვა წარმომადგენლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა დაესწრონ და გაეცნონ მედიაციის არსს.

პოლონეთში, სამართლისა და ადმინისტრაციის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდა მედიაციის საუნივერსიტეტო ცენტრი.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში, სადაც 2024 წლის 18 ოქტომბერს პომერანიის სლუპსკის უნივერსიტეტში (პოლონეთი) გამართულ საზეიმო ცერემონიას დაესწრო, რომლის ფარგლებშიც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ირაკლი ბურდულს სამართლის მეცნიერებასა და სლუპსკის უნივერსიტეტის აკადემიურ წინსვლაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის, მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება. პროფ. ირაკლი ბურდული პირველი ქართველი იურისტი მეცნიერია, რომელსაც სლუპსკის უნივერსიტეტისა და პოლონეთის ისტორიაში პირველად მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია ულოცავს პროფ. ირაკლი ბურდულს საპატიო ჯილდოს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს.

ამავე დღეს, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის (მისი თავმჯდომარის - ირაკლი ყანდაშვილის სახელით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (პროფ. ირაკლი ბურდულისა და ასოც. პროფ. ნათია ჩიტაშვილის სახელით) და სლუპსკის უნივერსიტეტის (პროფ. ზბიგნევ ოსადოვსკის სახელით) ერთობლივი ინიციატივით სამართლისა და ადმინისტრაციის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდა მედიაციის საუნივერსიტეტო ცენტრი.

ევროპულ უნივერსიტეტში კონფლიქტების გადაწყვეტის ცენტრის დაფუძნების ცერემონიალს ესწრებოდნენ პოლონეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პოლონეთის სასამართლო ხელისუფლების და მედიატორთა პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით დაიგეგმა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური თანამშრომლობა.

მედიატორებს შორის გამოცდილების გაზიარება

გრძელდება "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების პროექტის" ფარგლებში მედიატორებს შორის გამოცდილების გაზიარება, რომელიც მხარდაჭერილია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR- ის მიმართულებით მრჩეველი ირაკლი გელოვანი მიესალმნენ.

შეხვედრას მოდერირება გაუწია, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასეულებელმა დირექტორმა თამარ იმნაიშვილმა.

შეხვედრა საინტერესო კითხვა-პასუხის და დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა, გამოცდილმა მედიატორმა და აღმასრულებელი საბჭოს წევრმა თეა ჭეიშვილმა ასოციაციის ახალ წევრებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია პერმანენტულად ატარებს მსგავს შეხვედრებს, რადგან მედიატორებს შორის გამოცდილების გაზიარება და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე საუბარი ძალზედ მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს მედიაციის ინსტიტუტის დახვეწასა და განვითარებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ტრენერთა ტრენინგი

USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

ტრენინგი - საუკეთესო ამერიკული პრაქტიკის გაზიარება ქართველი მედიატორებისათვის

ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა ტრენინგში მონაწილეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა.

ორ დღიანი ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ საერთაშორისო პრაქტიკასა და ჰავაის შტატის მოსამართლეების გამოცდილებას მედიაციაში არსებული გამოწვევებისა და სიახლეების შესახებ.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებს ღონისძიებაში მონაწილეობა ჩაეთვლებათ განგრძობადი პროფესიული განვითარების სავალდებულო კრედიტებში.



საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მხარდაჭერით და ელსა თბილისი (ELSA Tbilisi) ორგანიზებით ჩატარდა სემინარების ციკლი თემაზე: ”მედიაციის მნიშვნელობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”

პროექტში მონაწილეობდნენ თბილისის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

პროექტის განმავლობაში, მონაწილეებს მიეცათ საშუალება გასცნობოდნენ მედიაციის მნიშვნელობას, მის პროცესს და უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა მედიაციის როლურ თამაშში.

სემინარების ციკლს მედიაციის ნაწილში უძღვებოდა სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თამარ იმნაიშვილი.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად მხარდამჭერია ისეთი ღონისძიებების რომელიც ხელს უწყოს ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას მედიაციის ინსტიტუტით.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა, რომელიც მხარდაჭერილი იყო USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის თავმჯდომარე - თამარ გაბისონია და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR სპეციალისტი ეკატერინე ლორთქიფანიძე.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამედიაციო მორიგების პრობლემური საკითხების და მედიაციის გზით ინდივიდუალური შრომითი კატეგორიის დავების პრაქტიკის განხილვა, პრობლემების გადაჭრის სტრატეგიაზე შეჯერება და საჭირო დოკუმენტის შემუშავება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა საქართველოში ინდივიდუალური შრომითი კატეგორიის სამედიაციო დავებიდან წარმოშობილი მორიგების პრობლემურ საკითხებზე. აღნიშნულზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის თავმჯდომარის თამარ გაბისონიას მოდერატორობით შრომის კომიტეტის წევრების მხრიდან გაჟღერდა მოსაზრებები და ალტერნატიული ხედვები, რაზედაც მონაწილეებმა ერთობლივად შეიმუშავეს საჭირო დოკუმენტი.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის წევრები.

პროექტ „MediateHER Georgia" ფარგლებში 20-21-22 ნოემბერს ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა მედიაციის უნარ-ჩვევების განმავითარებელ ტრენინგი.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მხარდაჭერით, მოქმედ მედიატორ და მედიატორობის მსურველ ქალთათვის, ქალთა გაძლიერების მიზნების შესაბამისად, პროექტ „MediateHER Georgia ფარგლებში 20-21-22 ნოემბერს ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა მედიაციის უნარ-ჩვევების განმავითარებელ ტრენინგი.

ტრენინგის მონაწილენი იყვნენ ქუთაისის, ჭიათურის და ზუგდიდის მოქმედი მედიატორები და მედიატორობის მსურველი სხვადასხვა პროფესიის ქალები. ტრენინგის მიზანი იყო ეფექტური მედიაციის და დავის გადაჭრის ფსიქოლოგიური და კომუნიკაციური უნარების და ტექნიკების გაუმჯობესება და განვითარება

ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი, მედიატორი ლია სანიკიძე და კონფლიქტოლოგი, ტრენერი მაია რაზმაძე.

აღნიშნული ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერია: IVLP Impact Award Project -US Department of State & meridian International Center.

სასამართლო მედიაციის ცენტრები

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება. სხვადასხვა რაიონულ სასამართლოებში მედიაციის ცენტრების გახსნა ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით

ფიცის დადების ცერემონიალი

28 დეკემბერს, ახლად გაწევრიანებულ მედიატორთა ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

მედიატორის წევრიანობის სერტიფიკატი

2024 წლის 28 დეკემბერი, თბილისი

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

www.mediators.ge